მკურნალ წმიდანთა გამოსახულებანი ქართულ ხელოვნებაში

ლალი ოსეფაშვილი

საკვანძო სიტყვები: *ქართული ხელოვნება; შუა საუკუნეების ხელოვნება; წმიდა ბარბარე; წმიდა პანტელეიმონი; წმიდა კოზმა და წმიდა დამიანე; მკურნალი წმიდანები - უვერცხლონი*

ნაშრომში შესწავლილია მკურნალ წმიდანთა გამოსახულებანი, შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში და პარალელია გავლებული ბიზანტიურ და თანამედროვე პერიოდებთანაც. ამ გამოსახულებებში იკვეთება ადამიანის სასოება, იმედი, ჰყავდეს მეოხი და შემწე უფლის წინაშე მკურნალი წმიდანის სახით. დავინტერესდი, როგორ გადმოსცემს ამ ყველაფერს ხელოვნების ენაზე მხატვარი.

გლობალურ გამოწვევათაგან სნეულებებთან, ავადმყოფობებთან (მ.შ. პანდემიასთან) დაკავშირებული პრობლემები საზოგადოების წინაშე ყოველთვის იდგა და ყოველი ეპოქის ადამიანები ამ პრობლემას თავისებურად უმკლავდებოდნენ. ამ საკითხისადმი დამოკიდებულების შუა საუკუნეების ხელოვნებაში ასახვის თემას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ქართულ სახვით ხელოვნებაში, უძველესი დროიდან მოყოლებული, კურნების თემას დიდი ადგილი ეთმობოდა. სენი ერთგვარ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცევა ხოლმე დიდებისა თუ ცოდვით დაცემის გზაზე და არქეოლოგიური მასალებითაც ირკვევა, რომ საქართველოს ძირძველი მოსახლეობა გარკვეულ სამედიცინო ცოდნას ფლობდა, გააჩნდათ გარკვეული იარაღებიც, რომელთაც სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა. მაგალითად, პატარა ხელცულებს გამოიყენებდნენ ჩირქგროვის გამოსაშვებად, ჭრილობიდან უცხო სხეულის ამოსაღებად.[1] საკაჟიაში აღმოჩენილი ცხოველის თავის ტვინისა და ქონის ნაზავი სამკურნალო მალამოდაა მიჩნეული.[2] ბრინჯაოს ხანისა და შემდეგი პერიოდის განათხარ მასალაში უკვე გვხვდება ნამკურნალევი ძვლები, ქირურგიული იარაღი: პინცეტი, სკალპელი, ძველი რომაული კეფალოტრიბების მსგავსი ნამგლისებრი დანა, ნემსი, ზონდი და სხვ.[3] საქართველოში სხვადასხვა ეპოქის სამარხებში (ძვ. წ. აღ.-ით XI-X სს., ახ. წ. XV-XVIIსს...) აღმოჩენილია ტრეპანირებული თავის ქალები. ტრეპანაციის ხალხური პრაქტიკა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთმა კუთხემ – ხევსურეთმა XX ს-ის 50-იან წლებამდე შემოინახა.[4]

ტრადიციული ქართული მედიცინის წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანია ქართული და ბერძნული მითოლოგია. ამირანის მითში დაცულია ცნობები სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის, დღენაკლული ბავშვის დაბადების დროს ხელოვნური ინკუბაციის პრაქტიკისა და საკეისრო კვეთის თაობაზე.[5]

ცნობილია, რომ არგონავტების მითის მთავარი პერსონაჟი – მედეა, კოლხეთის მეფის ასული, წამლების დამზადების საიდუმლოებას ფლობდა, წყაროების მიხედვით, მედეას სამკურნალო მცენარეები საგანგებოდ მოწყობილ ბაღში მოჰყავდა.[6] ამ ბაღის რამდენიმე სამკურნალო მცენარე – დაფნა, შინდი და სხვა დღესაც ფართოდ გამოიყენება ქართულ ხალხურ მედიცინაში. ანტიკური ავტორების მიხედვით, ძველი ქართველები: კოლხები და იბერები სამკურ-

1 მინდაძე, სამედიცინო კულტურა, 2013, გვ., 13.
2 ნიორაძე, 1953, გვ., 59.
3 მინდაძე, სამედიცინო კულტურა, 2013, გვ. 13.
4 იქვე, გვ., 14.
5 შენგელია, 1970, გვ., 32-33.
6 მინდაძე, სამედიცინო კულტურა, 2013, გვ., 14.

ნალოდ გარეულ ნიორს (Colchicum), ზამბახს (Iris), ბაიას (Aconitum), პრომეთეს ბალახსა და სხვებს იყენებდნენ.[7] პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში" დაცულია ცნობა იბერიაში საუკეთესო კამის წვენის დამზადების შესახებ, მას იბერები თაფლში ურევდნენ და მალამოს აკეთებდნენ.[8]

შუა საუკუნეების საქართველოში სამედიცინო ცოდნის გავრცელებაზე ცნობებს გვინახავენ ლიტერატურული თუ ისტორიული წყაროები. ასე მაგალითად, ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის უძველეს ნაწარმოებში „წმიდა შუშანიკის მარტვილობა" მოხსენიებულია ტრავმების სამკურნალო გარეგანი და შინაგანი საშუალებები: სალბუნი (მალამო) და წამალი. ლეონტი მროველის „წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში" მოხსენიებულია „ხელოვანი მკურნალი", ეს ტერმინი მაშინაც და შემდეგაც ხელმწიფის კარის ექიმს გულისხმობდა. სამედიცინო ხელნაწერი წიგნებია: „უსწორო კარაბადინი" (XI ს.), „წიგნი საქიმოჲ" (XIII ს.), ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი" (XV ს.), დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი" (XVI ს.) და სხვ.[9] ზოგადად, ქართულ ტრადიციულ სამედიცინო კულტურაზე ქართველ ეთნოლოგებს მეტად მდიდარი ცნობები აქვთ შეკრებილი. ამჯერად შევეხები მედიცინასა და ხელოვნებას, ანუ როგორ აისახა კურნების თემა სახვით ხელოვნებაში. თავდაპირველად ეს თემა ჩნდება სახარებებში, იკვეთება – ქრისტე, ვითარცა მკურნალი, სნეულთ შემწე.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში – სახარებების მინიატიურებსა, თუ კედლის მხატვრობის ნიმუშებში ქრისტეს, ვითარცა სასწაულთმოქმედის, კერძოდ სნეულთა მკურნალის სახეა შემონახული.

ქრისტეს განკურნების სცენები ასურათებენ ოთხთავის, ანუ მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს სახარებების ტექსტებს, ასევე სვინაქსარულ (წმინდანთა ცხოვრების) ნუსხებს, ზატიკს. განკურნების სამი სცენა – ბრმის, ეშმაკეულისა და განრღვეულის შესახებ ტექსტები და შესაბამისად მათი დამასურათებელი მინიატიურები ჩართულია კვირის ლიტურგიკულ საკითხავებში.[10]

კურნების მადლით არის აღსავსე ყველა სასწაულთმოქმედი წმიდანი და ადამიანები მათ შეჭირვების ჟამს განსაკუთრებული ლოცვებით ევედრებიან და შვებასაც ღებულობენ, რადგან ქრისტეს, ვითარცა მკურნალის მადლი, ასე ვთქვათ, გადმოვიდა წმიდანებზეც, რომელნიც უვერცხლონის სახელით არიან ცნობილნი. ყოველმა ქრისტიანმა იცის, რომელ წმიდანს უნდა ევედროს ამა თუ იმ სნეულების ჟამს. ქრისტეს მიერ თვალით სნეულის, ანუ ბრმის განკურნებას ოთხივე სახარება და თანაც რამდენიმეგზის მოგვითხრობს. აქ იგულისხმება, არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი, შინაგანი თვალის ახელვა, ძველი, ბნელი წარმართული ხანიდან, ახალ, ნათელთან დაკავშირებულ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა.

ვერა ბარდაველიძემ შეისწავლა წმიდა ბარბარეს კულტის გავრცელება სვანეთში, რომელიც თვალის სნეულების კურნებასთანაც, იყო დაკავშირებული. მისი აზრით, ღვთაება ბარბარ-ბაბარის კულტთანაა კავშირში.[11] მეცნიერს მოჰყავს მეტად საინტერესო ეთნოლოგიური პასაჟები: „...თვალის სნეულებით შეპყრობილი პირისთვის დიასახლისი ცალკე გამოაცხობდა სამ ცალ სადღეობო კვერს და ამ კვერებს ცალკე შესწირავდნენ, შეწირვის დროს ავადმყოფის განკურნებისა და თვალთა შუქის მონიჭებისათვის ლოცულობდნენ...ღვთაება ბარბალის ერთერთი ძირითადი ფუნქცია მკურნალობაა. ამიტომ მას სხვათაშორის ბარბალ კურნელ და ბარბალ ექმაშ ეპითეტებით მოიხსენიებდნენ... მის სახელზე სწირავდნენ სამარხვო გულიან ტაბლებს და „ცუდი ჭირისაგან" დაცვას ევედრებოდნენ".[12]

მეცნიერი იქვე შენიშნავს, რომ ქართლში თვალის ტკივილით დაავადებულებს ან მათ ახლობლებს ბარბალეს ეკლესიებში ვერცხლის ან სანთლის „თვალის კაკლები" მიჰქონდათ და თვალების განკურნებისთვის ლოცვა-ვედრებით ბარბალეს სწირავდნენ. ამასთან, ქართლელებში გავრცელებული იყო მამლის შე-

7 იქვე.
8 იქვე.
9 მინდაძე, სამედიცინო კულტურა, 2013, გვ., 14-15.
10 მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები, 2012, გვ.,293.
11 ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი, 1941, გვ.,44.
12 იქვე, გვ., 47.

წირვა. „დამიზეზებული“ ოჯახი ეკლესიის გალავანში ან მის მახლობლად ბარბალეს სახელზე ცოცხალ მამალს გაუშვებდა.[13]

წმიდა ბარბარეს ცხოვრების ქართული რედაქციის მიხედვით, წმიდა ბარბარე სნეულთა მფარველია. ის შედის აბანოში, მარმარილოს ნიშზე ჯვარს გამოსახავს და იქიდან უხვად წყალი გადმოედინება. ამ წყალში სნეულნი ბანაობენ და ეზეკიასავით იკურნებიან, კეთროვანნი ნეემანის მსგავსად იწმინდებიან, ხოლო ეშმაკნი შიშით ადამიანებისაგან განვიდიანო.[14]

ქართულ ხელოვნებაში წმიდა ბარბარეს გამოსახულებათა უმეტესობა სვანეთშია დაცული. შემორჩენილია ჭედური და ფერწერული ხატები, ასევე კედლის მხატვრობის ნიმუშები. როგორც იკონოგრაფიის ლექსიკონი გადმოგვცემს, წმიდანი გამოისახებოდა სამსარკმლიან მრგვალ, ან კვადრატის ფორმის კოშკთან, რომელიც სიმბოლურად წმიდა სამებას განასახიერებდა და უკავშირდება წმიდანის ცხოვრებას, სადაც მოთხრობილია ამ ფაქტზე.[15] წმიდა ბარბარეს ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებაა 705/707 წლებით დათარიღებული რომის სანტა მარია ანტიკვას პრესბიტერიუმის ფრესკა, სადაც წმიდანი სრული ტანით ფრონტალურად, ხატისებრადაა წარმოდგენილი.[16] ასევე მრავლადაა მისი გამოსახულებანი კაპადოკიის ქვაბულ ეკლესიათა კედლებზე, თარიღდებიან XI საუკუნით. აქ წმიდა ბარბარე წარმოდგენილია ბიზანტიური ტრადიციით. წმიდა ბარბარეს გამოსახულებანი ჩნდება ბიზანტიურ მინიატიურათა ნიმუშებშიც. Vatic. Gr. 1613, fol. 224; Vatic. Gr. 1156, fol. 270 r. და სინურ ჰექსაპტიქზე და სხვ.[17] ასევე გვხვდება 1199 წლით დათარიღებულ ნერედიცას ფრესკაზე, დეჩანიში და დასავლეთის ხელოვნებაშიც. ერთ-ერთ უჩვეულო ხატს წარმოადგენს XV საუკუნით დათარიღებული პოლიპტიქი წმიდა ბარბარეს ვნების სცენებით, დაცულია ჰელსინგფორსის ეროვნულ მუზეუმში და სხვ.[18]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართულ ხელოვნებაში წმიდა ბარბარეს გამოსახულებანი, უმეტესად სვანეთში გვხვდება. რ. ყენია და ნ. ალადაშვილი მიუთითებენ, რომ „ადგილობრივი (იგულისხმება სვანური – ლ. ო.) ხატების უმრავლესობა პირდაპირ ფიცარზეა დაწერილი, ხოლო ტილოზე შესრულებული ხატწერის ნიმუშები გაცილებით ნაკლებია“.[19]

სვანეთის ხელოვნებაში დაცულ წმიდა ბარბარეს რამდენიმე გამოსახულებაზე გავამახვილებ ყურადღებას. ერთ-ერთი პირველია იელის XI საუკუნის პირველი მესამედით დათარიღებული ჭედური ხატი, დაცულია სიემ-ში.[20]

ასევე XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება სიემში დაცული ხატი, სადაც ერთად არიან წარმოდგენილნი აღსაყდრებული ღმრთისმშობელი ყრმით და წმიდა ბარბარე.[21] ლაღამის მაცხოვრის ქვედა ეკლესიაში, რომელიც აგრეთვე XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება, დასავლეთ კედელზე წმიდა ბარბარე წარმოდგენილია წმიდა მეომართა და წმიდა დედათა რიგში. მეფის მხატვარ თევდორეს შემოქმედება იფრარში, 1096 წ. დასავლეთ კედელზე წარმოდგენილია წმიდა ბარბარე წმიდა ეკატერინეს გვერდით.[22] 1140 წლით თარიღდება მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, სადაც წმიდა ეკატერინეს გვირგვინდებაა, ანგელოზი გვირგვინს ადგამს წმიდა ეკატერინეს, მის გვერდით გამოსახული წმიდანი, ვფიქრობ, წმიდა ბარბარეა.[23] XIV საუკუნის შუა ხანებით თარიღდება ლაღამის მაცხოვრის ზედა ეკლესიის მოხატულობა, სადაც ასევე დასავლეთ კედელზეა გამოსახული წმიდა ბარბარე. ფარის სვიფი, ჯგრაგის ეკლესია XIV საუკუნის მიწურულით თარიღდება, სადაც ეკლესიის დეკორში ჩართულია წმიდა ბარბარეს გამოსახულება და სხვ. გარდა სვანეთისა, წმიდა ბარბარეს გამოსახუ-

13 იქვე, გვ., 50.
14 იქვე, გვ., 3.
15 Lexikon, 1994, bn. 5, s. 305.
16 იქვე, Lexikon, 1994, bn. 5, s.307, fig. 2.
17 Евсеева,Афонская, 1998, с. 257, №101.
18 იქვე, Lexikon, 1994, bn. 5, s.310, fig.4
19 ყენია, ალადაშვილი, ზემო სვანეთი, 2000, გვ., 29.
20 საყვარელიძე, ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური, 1980, ტაბ. 25.
21 ჭიჭინაძე, შუა საუკუნეების, 2011, გვ., 96, ტაბ., 2.
22 Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная, 1983, 33-55.
23 ყენია, შუასაუკუნოვანი, 2010, გვ. 116.

ლება გვხვდება XV-XVI სს. ქართულ-ბერძნულ ხელნაწერ კრებულში (разнояз. О.І. 58), რომელიც ამჟამად დაცულია რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.[24] ხელნაწერი შინაარსით ლიტურგიკული კრებულია. ყველა ზემოთ მოხსენიებულ გამოსახულებაში წმიდა ბარბარე წარმოდგენილია ერთნაირ – ე. წ. პატრიციანელის სამოსელში.

წმიდა ბარბარეს შემდეგ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში გავრცელებული მეორე დიდი მკურნალი წმიდანია წმიდა პანტელეიმონი, მის ხსენებას ეკლესია 27 ივლისს აღნიშნავს. იკონოგრაფიის ლექსიკონის მიხედვით, უმეტესად წმიდა კოზმასა და წმიდა დამიანესთან ერთად გამოისახება ხოლმე.[25]

ვიდრე ამგვარ ნიმუშს განვიხილავდე, ყურადღებას XIII საუკუნის ერთ სინურ ხატს დავუთმობ. როგორც ა. ლიდოვი აღნიშნავს, ეს ხატი მთელ ბიზანტიურ ხელოვნებაში ერთადერთია, რომელ-მაც ჩვენამდე მოაღწია წმიდა პანტელეიმონის ცხოვრების ციკლით.[26] ამ წმიდანის ცხოვრების სცენები ფრაგმენტულად შემორჩა ნერეზის წმ. პანტელეიმონის ეკლესიის ნარტექსის მხატვრობაში (1164) და ორი მინიატიურა მენოლოგიუმის ხელნაწერიდან მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (XIს.), ამ ფონზე სინური ხატი წარმოადგენს უნიკალურ ისტორიულ და იკონოგრაფიულ წყაროს, რამდენადაც შეიცავს 16 თავდაპირველ კარგად შემორჩენილ კომპოზიციას.

ხატის ცენტრში წარმოდგენილია წმ. პანტელეიმონი – ლამაზი ჭაბუკი განსაკუთრებულ სამოსში. ასეთი სამოსელი ბიზანტიურ იკონოგრაფიაში ესადაგებოდა მკურნალ წმიდანთა რიგს. ბერძნულად ერქვა „ანარგიროი“ (უვერცხლონი), რამდენადაც, განსხვავებით პრაქტიკოსი ექიმებისაგან, ისინი მკურნალობის ფულს არასოდეს იღებდნენ. წმიდანის დიდმოწამეთა და ამავდროულად მკურნალ წმიდანად წარმოდგენას მიგვითითებს მოწამეობრივი ჯვარი, რომელიც მარჯვენა ხელში უკავია, ხოლო მარცხენაში პატარა ყუთი მედიკამენტებისთვის, ყურადღებას იპყრობს დამუშავება, პატარა ყუთი გაიგივებულია ოქროს რელიქვარიუმთან, შემკულია ძვირფასი ქვებითა და დიდი ჯვრით. ფართოდაა ცნობილი ჭურჭელი „რძით“, რომელსაც წმ. პანტელეიმონი, გადმოცემის თანახმად, ასხამდა სისხლის ნაცვლად დიდმოწამის წამების დროს.

ქართულ ხელოვნებაში წმ. პანტელეიმონის გამოსახულება გვხვდება XV-XVI სს. ქართულ-ბერძნულ ხელნაწერ კრებულში (разнояз. О.І. 58),აქ მისი გამოსახულება ჩართულია თვენში, ჭაბუკის სახითაა, მარჯვენა ხელში ლახვრის მსგავსი ნივთი უკავია, შესაძლოა ლერწმის, ხოლო მარცხენაში გაურკვეველი საგანია.

დღესაც ტაძრებში შესულ მრევლს სხვა ხატებს შორის ეგებება ლამაზი ჭაბუკის – წმიდა პანტელეიმონის ხატი, რომელსაც ხელში მედიკამენტებიანი კოლოფი უკავია და მასთან მორწმუნენი ჯანმრთელობისთვის, კურნებისთვის ევედრებიან და ლოცულობენ.

ასევე უვერცხლონის, ანუ „ანარგიროის“ სახელით არიან ცნობილნი წმ. კოზმა და წმ. დამიანე, მათი წყვილი გამოსახულებანი გვხვდება ეკლესიათა დეკორში, ხელნაწერთა მინიატიურებში, ხატებზე. ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია თესალონიკის წმ. გიორგის ეკლესიის მოზაიკა 379/95 წწ.[27] ყურადღებას იპყრობს 1100 წლით დათარიღებული სინას ეკატერინეს მონასტრის ხატი, სადაც ერთად არიან წარმოდგენილნი წმიდანები: კოზმა, თეოდოტე, დამიანე და პანტელეიმონი. სამივე უვერცხლო მკურნალს მარჯვენა ხელში ლერწამი (შესაძლოა ლახვარი?) უკავია, ხოლო წმ. პანტელეიმონს პატარა ყუთი მედიკამენტებისთვის. წმ. თეოდოტე კი, წარმოდგენილია, წმიდათა მსგავსად, მარჯვენა ხელში ჯვრით, ხოლო მარცხენა ხელის გული მლოცველისკენ მიუმართავს (იგი წმ. კოზმასა და წმ. დამიანეს დედაა).[28] წმიდა კოზმასა და წმიდა დამიანეს გამოსახულებანი გვხვდება XIII საუკუნით დათარიღებულ კაზრეთის წმიდა სამების საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე.[29] სამწუხაროდ, დღეისათვის ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ისი-

24 Евсеева, Афонская, 1998. ამბავი ერთი ხელნაწერისა, 2012.
25 Lexikon, 1994, bn.8, s.112.
26 Лидов, Византийские иконы, 1999,с.112.
27 Lexikon,1994, bn. 7, s. 346, fig. 1.
28 იქვე, Lexikon,1994, bn. 7, s. 346, fig. 2.
29 სხირტლაძე, საკურთხევლის მოხატულობის, 1981,გვ., 86.

ნი ასევე წარმოდგენილნი არიან ზემოთ მოხსენიებულ ქართულ-ბერძნულ ხელნაწერ კრებულში. ფ. 85r; 120r. და 82r-ზე, ხელში სამკურნალო ნივთებიანი კოლოფებით.

ამდენად, შუა საუკუნეებში ქართულ ხელოვნებაში, ბიზანტიურის ფონზე, აქტიურად გამოისახებოდნენ მკურნალი წმიდანები, ასევე აღნიშვნის ღირსია, ამ გამოსახულებათა საშემსრულებლო ხელოვნება, შესრულების მანერა, რითაც ოსტატები მათ განსაკუთრებულად, საზეიმოდ წარმოგვიდგენდნენ. რაც გამოიხატება, ოქროს და ღია ფერების აქტიურად გამოყენებაში, ფიგურათა ნახატის ვირტუოზულ შესრულებაში. ვთქვათ, წმ. ბარბარეს გამოსახულება საეკლესიო სივრცეში ყოველთვის დასავლეთ კედელს იკავებს, რაც უსათუოდ იცის მორწმუნემ, რათა სასოებით ილოცოს მის წინაშე.

დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ხატებთან კურნებისთვის სასოებით ლოცვას და ახლა, როცა კოვიდის ეპიდემია მძვინვარებდა, ხატმწერმა თამარ გოჩიაშვილმა დაწერა და ოქრომჭედელმა გიორგი (გეგი) ქურდიანმა მოჭედა ხატი 15 წმიდანით, როგორც ისინი გადმოგვცემენ, ამ ხატის შექმნის იდეა გაჩნდა მსოფლიოში ახალი პანდემიის დაწყებისთანავე. მათი თქმით, მსოფლიოს მრავალი ეპიდემია ახსოვს და ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ წმიდანების მიმოქცევამ, რომლებიც ამ ეპიდემიების დროს მოღვაწეობდნენ, ან ეპიდემიის დროს მფარველებად ითვლებიან. ასეთი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთის ეკლესიის წიაღში, საკმაოდ ძნელი იყო მათი გამორჩევაც კი. საბოლოოდ 15 წმიდანზე შევჩერდით, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი აქვთ ეპიდემიების დროს. მეტიც, ზოგი მათგანი მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად დამხმარენი კი არ იყვნენ თავის ხალხისთვის, არამედ ეპიდემიოლოგების შრომაც კი გასწიეს. ზოგი მათგანი ექიმიც კი იყო, ძირითადად, რა თქმა უნდა, ყველა ისინი მკურნალებად ითვლებიან. შევჩერდები მთავარ ხატზე, სადაც გამოსახულია წმიდა გრიგოლ დიალოღოსი რომის პაპი (†604), ღმრთისმშობლის ხატით ხელში, რომელსაც ეწოდა „ხალხთა ხსნა“ იმ ცნობილი სასწაულის შემდეგ, როდესაც გრიგოლ დიალოღოსმა რომში ერთ-ერთ ცენტრალურ ხიდზე ღმრთისმშობლის ხატით მოაწყო ლოცვითი მსვლელობა და მთავარანგელოზმა მიქაელმა მახვილით განგმირა შავი ჭირის ეშმაკი და რომი განთავისუფლდა ამ ეპიდემიისგან. ხატის აშიებზე ასევე კურნების მადლით დაჯილდოებული წმიდანებია გამოსახული: წმ. სპირიდონ ტრიმითუნტიელი (†63), წმ. მართალი ლაზარე, წმ. მღვდელმოწამე ხაარლამბოსი მაგნეზიის ეპისკოპოსი (†202), წმ. მღვდელმთავარი რიგინოსი (†362), წმ. ზოტიკე (†350)კონსტანტინოპოლელი მღვდელმთავარი, წმ. მოწამე სებასტიანე რომაელი (†287), წმ. მეფე ედვინი (†633), წმ. ალექსი შუშანია (†1923), წმ. ანტონი დიდი (†356), წმ. ალექსი ღმრთისკაცი (†411), წმ. ნიკიფორე ლეპროსი (კეთროვანი †1964), წმ. კვირინე რომაელი მოწამე (†150), წმ. ბონიფაციუსი (†672) და წმ. დიმიტრი თესალონიკელი (†306). როგორც ვხედავთ, ამ ხატზე კომპონირებულია სხვადასხვა დროს მოღვაწე მკურნალი წმიდანები, რომელნიც შექმნილია ძველი, ტრადიციული მანერით.

ამრიგად, შევეცადე მოკლედ შევხებოდი ისეთ ვრცელ და მეტად საინტერესო თემას, როგორიცაა მკურნალ წმიდანთა გამოსახულებანი ხელოვნებაში. ერთად მოვუყარე თავი ქართულ (ასევე ბიზანტიურ) მასალას დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე და გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ საუკუნეთა მანძილზე, კურნების თემას მეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ადამიანებს სწამდათ, რომ მისგან დაცვა ლოცვით შეიძლებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამბავი ერთი ხელნაწერისა, ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, თბ., 2012.
- ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
- მაჭავარიანი ელ. ქართული ხელნაწერები, დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბ., 2012.
- მინდაძე ნ. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013.
- ნიორაძე გ. ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953.
- საყვარელიძე თ. ალიბეგაშვილი გ. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980.
- სხირტლაძე ზ., საკურთხევლის მოხატულობის სქემის ზოგი თავისებურება XIII ს-ის ქართულ კედლის მხატვრობაში, მაცნე 1981,4 (1981), გვ., 85-99.
- ყენია რ. ალადაშვილი ნ. ზემო სვანეთი (შუასაუკუნეების ხელოვნება), გზამკვლევი, საქართველოს მეგზური, II, თბ., 2000.
- ყენია მ. ზემო სვანეთი, შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა, თბ., 2010.
- შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970.
- ჭიჭინაძე ნ. შუა საუკუნეების ქართული ხატწერა, თბ., 2011.
- Lexikon der christlichen Iconographie, Rom, Freiburg, Basel, Wien, Bd. 5; Bd. 7; Bd. 8; 1994.
- Аладашвили Н. Алибегашвили Г. Вольская А. Живописная школа Сванети, Тб. 1983.
- Евсеева Л. Афонская книга образцов XVв., М, 1998.
- Лидов А. Византийские иконы Синая, Издательство ,, Христианский Восток“, 1999.

ილუსტრაციები გამოყენებულია შემდეგი პუბლიკაციებიდან:

#1-2: ყენია მ. ზემო სვანეთი, შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა, თბ., 2010.
#3: ამბავი ერთი ხელნაწერისა, ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, თბ., 2012
#4: Лидов А. Византийские иконы Синая, Издательство „Христианский Восток“, 1999.

IMAGES OF HEALING SAINTS IN GEORGIAN ART

Lali Osepashvili

Keywords: *Georgian art; Medieval art; Saint Barbara; Saint Panteleimon; Saint Cosmas and Saint Damian; Healing saints/unmercenaries.*

The work examines the images of healing saints in Georgian art of the Middle Ages and draws parallels with the Byzantine and modern periods. Human faith, hope, to have a protector and helper before the Lord in the form of a healing saint can be seen in these images. I was eager to study how the artist conveys all this in the language of art.

Among the global challenges, problems related to diseases, illnesses (including pandemics) have always faced the society, and people of every era have dealt with this problem in their own way. This work is devoted to the topic of reflection of the attitude to this issue in the art of the Middle Ages.

In Georgian fine art, since ancient times, the theme of healing has been given great importance. Disease sometimes becomes an obstacle on the way to glory or falling from sin, and it is clear from the archaeological materials that the indigenous population of Georgia possessed certain medical knowledge and certain tools with medical purpose. For example, small choppers were used to drain abscess, to remove a foreign body from a wound.[1] A mixture of animal brain and fat found in Sakadjia is considered a healing ointment.[2] In the excavated materials of the Bronze Age and the following period, we can already find cured bones, surgical tools: tweezers, scalpel, sickle knife similar to ancient Roman cephalotribes, needle, probe, etc.[3] Trepanned skulls have been found in tombs of different eras in Georgia (19th–20th centuries BC, 15th–17th centuries AD). The folk practice of trepanation was preserved in Khevsureti, one of the mountainous regions of Georgia, until the 1950s.[4]

Georgian and Greek mythologies are important for the presentation of traditional Georgian medicine. Amiran's myth preserves references to treatment with medicinal plants... practice of artificial incubation and caesarean section during the birth of a premature child.[5]

It is known that the main character of the myth of the Argonauts, Medea, the daughter of the king of Colchis, possessed the secret of making medicines, according to sources, Medea grew medicinal plants in a specially arranged garden.[6] Several medicinal plants of this garden: laurel, cornel and others are still widely used in Georgian folk medicine. According to ancient authors, ancient Georgians: Colchis and Iberians used wild garlic (Colchicum), Iris, Aconitum, Prometheus grass and others as medicine.[7] In Pliny the Elder's "Natural History" there is information about making the best dill juice in Iberia, the Iberians mixed it with honey and made an ointment.[8]

Information about the spread of medical knowledge in medieval Georgia can be found in literary or historical sources. So, for example, in the oldest work of Georgian hagiographical literature, The Martyrdom of Saint Shushanik, external and internal means for treating traumas are mentioned: salve (ointment) and medicine. Leonti Mroveli's *The Conversion of Kartli by St. Nino*

1 Mindadze, Medical Culture, 2013, pp. 13.
2 Nioradze, 1953, pp. 59.
3 Mindadze, Medical Culture, 2013, pp. 13.
4 Ibid, pp.14.
5 Shengelia, 1970, pp. 32-33.
6 Mindadze, Medical Culture, 2013, p., 14.
7 Ibid.
8 Ibid.

mentions the "artist healer", this term then and later meant the court physician of the ruler. The medical manuscript books are: *Unmatched Carabadin* (11th century), *Book of Doctor* (13th century), *Medical Book* of Zaza Panaskerteli (15th century), *Yadigar Daud* by Davit Bagrationi (16th century) and others.[9] In general, Georgian ethnologists have collected very rich information on Georgian traditional medical culture. This time I will touch on medicine and art, that is, how the theme of healing was reflected in fine art. Initially, this theme appears in the Gospels, Christ is mentioned as a healer, savior of the ailing.

In the Christian art of the Middle Ages—in the miniatures of the Gospels and in the examples of wall paintings—the face of Christ as a miracle worker, in particular, a healer of the sick, is preserved.

The scenes of Christ's healing depict the texts of the four Gospels: Matthew, Mark, Luke and John, as well as synaxarion (saints' lives) lists, liturgical books. Three scenes of healing - the texts about the blind, the possessed and the paralytic, and correspondingly, their illustrative miniatures are included in the liturgical readings of the week.[10]

All miracle-working saints are filled with the grace of healers, and people pray to them in times of need with special prayers and receive relief, because the grace of Christ as a healer, so to speak, has spread to the saints, who are known by the name of the unmercenaries. Every Christian knows which saint he should pray to at the time of illness. All four Gospels tell us about Christ's healing of the blind, numerous times. I think, not only physical, but spiritual, inner eye opening is meant here, transition from the old, dark pagan age to the new, light-related Christian faith.

Vera Bardavelidze studied the spread of the cult of Saint Barbara in Svaneti, which was also connected to the healing of eye diseases. According to her, it is connected to the cult of the deity Barbar-Babar.[11] The scientist cites very interesting ethnological passages: "For a person suffering from eye diseases, the housewife would bake three bread cakes separately and these cakes would be sacrificed separately. While sacrificing people would pray for the healing of the sick and the return of the sight. One of the main functions of the deity Barbal was healing. That's why she was referred to by the epithets Barbal the Healer and Barbal Ekmash... In her name, people would offer fasting, heartfelt "tables" and they prayed for protection from the "bad plague".[12] The scientist also notes that people suffering from eye pain in Kartli or their relatives brought silver or candle "eyeballs" to Barbale churches and prayed to Barbale to heal their eyes. In addition, it was common among the people of Kartli to sacrifice a rooster. The "caused" family would release a live rooster in the name of Barbale in the church fence or near it.[13]

According to the Georgian edition of the life of Saint Barbara, she is the patron of the ailing. She enters the bath, makes a cross on the marble niche, and abundant water flows from it. The ailing swim in this water and are healed like Hezekiah, lepers are cleansed like Naaman, and the devil in fear flees from people.[14]

Most of the images of St. Barbara in Georgian art are preserved in Svaneti. Embossed and painted icons, as well as examples of wall painting, have survived. As the dictionary of iconography tells us, the saint was represented by a round or square tower with three windows, which symbolized the Holy Trinity and is connected to the life of the saint, where this fact is told.[15] One of the oldest images of St. Barbara is the fresco of the Presbytery of Santa Maria Antiqua in Rome, dated 705/707, where the saint is represented in a full-body frontal, icon-like manner.[16] There are also a lot of her images on the walls of stone churches in Cappadocia, dating back to the 11th century. Here Saint Barbara is represented in the Byzantine tradition. Images of Saint Barbara also appear in Byzantine miniatures. Vatic. Gr.

9 Mindadze, Medical Culture, 2013, pp.,14-15
10 Machavariani, Georgian Manuscripts, 2012, p.,293.
11 Bardavelidze, Ancient Georgians', 1941, p.,44.
12 Ibid., p.,47.
13 Ibid., p., 50.
14 Ibid., p.,3.
15 Lexikon, 1994, bn. 5, s. 305.
16 Ibid., Lexikon, 1994, bn. 5, s.307, fig. 2.

1613, fol. 224; Vatic. Gr. 1156, fol. 270 r. and in the Sinai Polykephalon and others.[17] It is also found in the Nereditsa fresco dating back to 1199, in Decani and in Western art. One of the unusual icons is the 15th-century polyptych with scenes of the Martyrdom of St. Barbara, preserved in the Helsinki National Museum and others.[18]

As mentioned above, images of St. Barbara in Georgian art are mostly found in Svaneti. R. Kenia and N. Aladashvili point out that "the majority of local (meaning Svani L.O.) icons are written directly on the board, while the examples of icon painting made on canvas are much less."[19]

I will focus on several images of Saint Barbara preserved in the art of Svaneti. One of the first is an engraved icon of Ieli, dated to the first third of the 11th century, preserved in Seim.[20] The icon preserved in Seim also dates back to the beginning of the 11th century, where the enthroned Mother of God with a child and Saint Barbara are represented together.[21] In the Lower Church of the Savior of Lagham, which also dates back to the beginning of the 11th century, on the west wall, Saint Barbara is represented in the row of holy warriors and holy mothers. The work of the king's painter Teudore in Ifrari, 1096. On the west wall, Saint Barbara is represented next to Saint Catherine.[22] The painting of the Church of the Savior in Matskhvarishi dates back to 1140,depicts the scene of crowning of St. Catherine, an angel crowns St. Catherine, the saint depicted next to her is, I think, St. Barbara.[23] The painting of the Upper Church of the Savior in Lagham dates back to the middle of the 14th century, with Saint Barbara depicted on the western wall. Faris Svifi, Jgragi Church dates back to the end of the 14th century, where the image of St. Barbara and others are included in the church's decor. In addition to Svaneti, images of Saint Barbara can be found in the 15th-16th centuries Georgian-Greek manuscript collection (разнояз. O.I. 58), which is currently preserved in the National Library of Russia.[24] The manuscript is a liturgical collection. In all the images mentioned above, St. Barbara is presented in the same way, so called patrician clothing.

After Saint Barbara, the second great healing saint found in Georgian art of the Middle Ages is Saint Panteleimon, whose name day is celebrated by the church on July 27. According to the dictionary of iconography, he is often depicted together with St. Cosmas and St. Damian.[25] Before discussing an example, I will pay attention to a 13th-century Sinic icon. As A. Lidov notes, this icon is the only one in all Byzantine art that has reached us through the life cycle of Saint Panteleimon.[26] Scenes from the life of this saint have been preserved in fragments in the painting of the narthex (1164) of the St. Panteleimon church and two miniatures from the Menologium manuscript in the Moscow Historical Museum (11th century), the Sinai icon represents a unique historical and iconographic source, as it contains 16 original well-preserved compositions.

In the center of the icon is represented St. Panteleimon, a beautiful young man in special clothes. In Byzantine iconography, this garment was used for a series of healing saints. In Greek, it was called Anárgyroi (unmercenary), as unlike practicing doctors, they never accepted money. The representation of the saint as a great martyr and a truly healing saint is indicated by the martyr cross, which he holds in his right hand, and in his left hand, a small box for medicines, attention is drawn to the processing, the small box is equated with a golden reliquary, decorated with precious stones and a large cross. The vessel with "milk" is widely known, which according to a legend, St. Panteleimon poured instead of blood during the torture of the Great Martyr.

In Georgian art, the image of St. Panteleimon can be found in the 15th -16th centuries. In the Georgian-Greek manuscript collection (разнояз. O.I. 58), his image is included in Menaion, he is in the form of a young man, in

17 Евсеева,Афонская, 1998, с. 257, №101.
18 Ibid., Lexikon, 1994, bn. 5, s.310, fig.4
19 Kenia, Aladashvili, Upper Svaneti, 2000, p., 29.
20 Sakvarelidze, Alibegashvili, Georgian Blacksmithery, 1980, fig. 25.
21 Chichinadze, Middle Ages, 2011, p., 96, fig. 2.
22 Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная, 1983, 33-55.
23 Kenia, Middle Ages, 2019, p.116.
24 Евсеева,Афонская, 1998. Story of one manuscript, 2012.
25 Lexikon, 1994, bn.8, s.112.
26 Лидов, Византийские иконы, 1999,с.112.

his right hand he is holding something similar to a spear, maybe a reed, and in his left, he is holding an unknown object.

Even today, among other icons, the parishioners who enter the churches are greeted by the icon of a beautiful young man, Saint Panteleimon, who holds a medicine box in his hands, and believers pray and beg him for health and healing.

Saints Cosmas and Damian are also known by the name of unmercenary Anárgyroi. Pairs of their images can be found in the decor of churches, in miniatures of manuscripts, on icons. One of the earliest samples is the mosaic of Thessaloniki St. George's Church dating back to 379/95[27]. The icon of Catherine's Monastery of Sinai, dating back to 1100 years, attracts attention, where the saints: Cosmas, Theodotus, Damian and Panteleimon are represented together. All three unmercenary healers hold a cane (perhaps a spear?) in their right hand, while St. Panteleimon holds a small box for medicine. St. Theodotus is represented, like the saints, with a cross in her right hand, and the palm of her left hand is directed towards the praying person (she is the mother of St. Cosmas and St. Damian).[28]

The images of Saint Cosmas and Saint Damian can be found on the windows of the altar of the Holy Trinity in Kazreti dating from the 13th century.[29] Unfortunately, it remains fragmented today. They are also represented in the Georgian-Greek manuscript collection mentioned above. F. 85r; 120 r. and at 82r, holding boxes of healing items.

Thus, in the Middle Ages in Georgian art, against the background of Byzantine, healing saints were actively depicted, and the performance art of these images, the manner of execution, by which the masters presented them to us in a special, solemn way, is also worth noting. Which is expressed in the active use of gold and light colors, in the virtuoso performance of figure drawing. Let's say the image of St. Barbara always occupies the western wall in the church space, which the believer knows without a doubt, so that he can pray in front of her.

Praying with icons for healing has not lost its importance and now, when the Covid epidemic was raging, the icon painter Tamar Gochiashvili wrote and the goldsmith Giorgi (Gegi) Kurdiani engraved the icon with 15 saints, as they tell us, the idea of creating this icon appeared at the beginning of a new pandemic in the world. According to them, the world remembers many epidemics, and our attention was drawn to the circulation of those saints who worked during these epidemics, or are considered patrons during the epidemic. There were quite a lot of such, both in the bosom of the Eastern and Western Church, it was quite difficult to even distinguish them. Finally, we stopped at 15 saints who have special merits during epidemics. Moreover, some of them were not only physically and spiritually helpful to their people, but even performed the work of epidemiologists. Some of them were even doctors, of course, all of them are mainly considered as healers. I will stop at the main icon, which depicts St. Gregory the Great, Bishop of Rome (†604), with the image of the Mother of God in his hand, which was called the "Salvation of the People" after the famous miracle, when Gregory the Great organized a prayer procession with the image of the Mother of God on one of the central bridges in Rome, and the Archangel Michael killed the The devil of the plague with his sword and Rome was freed from this epidemic. On the edge of the icon are also depicted saints blessed with the grace of healers: St. Spyridon of Trimithuntial (†63), St. Righteous Lazarus, St. Priest-martyr Khaarlambos, Bishop of Magnesia (†202), St. High Priest Riginos (†362), St. Zotike (†350) high priest of Constantinople, St. Martyr Sebastian Roman (†287), St. King Edwin (†633), St. Alexi Shushania (†1923), St. Anthony the Great (†356), St. Alex the Divine (†411), St. Nikephoros Lepros (leper †1964), St. Quirine Roman Martyr (†150), St. Boniface (†672) and St. Dimitri of Thessalonica (†306). As we can see, this icon is composed of healing saints working in different times, which were created in an old, traditional manner.

Thus, I tried to briefly touch on such a vast and very interesting topic as the images of healing saints in art. Together, I collected Georgian (as well as Byzantine) material from ancient times to the present, and the fact emerged that over the centuries, the topic of cures was given more and special importance, people believed that they could be protected from it by prayer.

27 Lexikon,1994, bn. 7, s. 346, fig. 1.
28 Ibid., Lexikon,1994, bn. 7, s. 346, fig. 2.
29 Skhirtladze, Painting of the Altar, 1981, p., 86.

REFERENCES:

- A Story of one manuscript, Georgian-Greek illustrated manuscript from the St. Petersburg collection, Tb., 2012.
- Bardavelidze V. From the history of the ancient beliefs of Georgians, (God Barbar-Babar), Tb., 1941.
- Machavariani E. Georgian manuscripts, issues of writing and decoration, Tb., 2012.
- Mindadze N. Traditional medical culture of the Georgian people, Tb., 2013.
- Nioradze G. Man of the Stone Age in the Sakazhia Cave, Tb., 1953.
- Sakvarelidze T. Alibegashvili G. Georgian embossed and pictorial icons, Tb. 1980.
- Skhirtladze Z., Some features of the painting scheme of the altar in Georgian wall painting of the 13th century, Matsne 1981,4(1981), p., 85-99.
- Kenia R. Aladashvili N. Zemo Svaneti (art of the Middle Ages), Guide, Georgia Guide, II, Vol., 2000.
- Kenia M. Upper Svaneti, medieval wall painting, Tb., 2010.
- Shengelia, History of Georgian Medicine, Tb. 1970.
- Chichinadze N.Medieval Georgian icon-painting, Tb. 2011.
- Lexikon der christlichen Iconographie, Rom, Freiburg, Basel, Wien, Bd. 5; Bd. 7; Bd. 8; 1994.
- Aladashvili N. Alibegashvili G. Volskaya A. Svaneti painting school, Tb 1983.
- Evseeva L. Athos pattern book 15th c.., M, 1998.
- Lidov A. Byzantium icons of Sinaya, Publishing House “Christian East”, 1999.

ILLUSTRATIONS ARE USED FROM THE FOLLOWING PUBLICATIONS:

#1-2: Kenia, M. Upper Svaneti, medieval wall painting, Tb., 2010;
#3: Georgian-Greek illustrated manuscript from the St. Petersburg collection, Tb., 2012;
#4: Лидов А. Византийские иконы Синая, Издательство „Христианский Восток“, 1999.

1. წმიდა ბარბარე. ლაღამის მაცხოვრის ქვედა ეკლესია. XIს. დასაწყისი
SAINT BARBARE. LOWER CHURCH OF LAGHAMI SAVIOR. BEGINNING OF XI CENTURY



2. წმიდა ბარბარე. ლაღამის მაცხოვრის ზედა ეკლესია. XIVს. შუახანები
SAINT BARBARE. UPPER CHURCH OF LAGHAMI SAVIOR. XIV. MIDDLE CENTURIES

3. წმიდა კოზმა და წმიდა დამიანე. ქართულ-ბერძნული კრებული. XV ს.
SAINT COSMAS AND SAINT DAMIAN, GEORGIAN-GREEK MANUSCRIPT. XV CENTURY

5. თამარ გოჩიაშვილი, გიორგი ქურდიანი. მკურნალ წმიდანთა ხატი. 2021.
TAMAR GOCHIASHVILI, GIORGI (GEGGI) KURDIANI, ICONS OF HEALING SAINTS.

4. წმიდა პანტელეიმონი. სინური ხატი. XIIIს. დასაწყისი
SAINT PANTELEIMON, SINAI ICON, BEGINNING OF XIII CENTURY